



ინტერვიუ ექსპერტთან

ინტერვიუ პროფ. სტივენ ჯონსთან

ინტერვიუს უძღვება ჯოსეფ ლარსენი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) ანალიტიკოსი.

ინგლისურიდან თარგმნა იოსებ ჟორჯოლიანმა.

„პირველი რესპუბლიკა გვახსენებს ისეთ დესტაბილიზაციას, რომელიც, შესაძლოა, ქართველების საკუთარი შეცდომებით იყოს გამოწვეული.“

პროფესორი სტივენ ჯონსი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის საკითხებში ერთ-ერთი საყოველთაოდ აღიარებული ექსპერტია. 1989 წლიდან, ჯონსი მასაჩუსეტისის შტატში, კერძოდ კი „მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯში“ მუშაობს. ამ დროის განმავლობაში, მან არაერთი სტატია თუ წიგნი გამოსცა საქართველოს ისტორიისა და პოლიტიკის შესახებ. მისი წიგნი „საქართველო: დამოუკიდებლობის პოლიტიკური ისტორია“, აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ავტორიტეტული ნამუშევარი საქართველოს უახლეს ისტორიაზე. მის აკადემიურ კარიერასთან ერთად, ჯონსს არაერთხელ უთანამშრომლია საქართველოს საკითხებზე, როგორც ამერიკის ელჩებთან საქართველოში, ასევე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან.

პროფესორი ჯონსი დიდი სიამოვნებით დათანხდა ჩვენთან ინტერვიუს 2016 წლის დეკემბერში და განიხილა არაერთი საინტერესო საკითხი, როგორებიცაა: 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში; „ბრეჟნიტისა“ და დონალდ ტრამპის გამარჯვების მნიშვნელობა საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნებისთვის; მან ასევე ისაუბრა იმ ისტორიულ გაკვეთილებზე, რომლებიც საქართველომ რუსეთის იმპერიიდან გამოსვლის შემდეგ, დაახლოებით ერთი საუკუნის წინ მიიღო.

GIP: როგორც უცხოელმა დამკვირვებლებმა აღნიშნეს, საპარლამენტო არჩევნები საქართველოში სამართლიანად ჩატარდა. თუმცა, არჩევნებში მოსახლეობის მხოლოდ 52-მა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა. ქართულმა ოცნებამ მოიპოვა დიდი უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, რომ მას საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 25-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი. შეგვიძლია, რომ ეს შედეგი პოზიტიურად შევაფასოთ, თუ უფრო კომპლექსურადაა საჭირო არჩევნების შეფასება ?

სჯ: არჩევნები ყოველთვის რთული თემაა, ისინი ზოგჯერ დემოკრატიული უფლების გამოხატვასაც არ უზრუნველყოფენ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არჩევნები, საკმარისად სამართლიანად ჩატარდა, თუმცა შედეგებში შემდეგი ნიშნები გამოიკვეთა: ბევრი მოქალაქე არჩევნებზე არ გამოცხადდა, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობის ეს ნაწილი იმედგაცრუებულია. ამის ნაწილობრივი მიზეზი ისაა, რომ ბევრი ამომრჩეველი დაბნეული იყო, არ იცოდა, ვისთვის მიეცა ხმა, ასევე მოსახლეობა დაიღალა გრძელი საარჩევნო კამპანიით, რომელიც,

ძირითადად, პიროვნულ ხასიათს ატარებდა. საარჩევნო კამპანიას აკლდა კონკრეტული გეგმების შესახებ დისკუსია. ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ გაითვალისწინეს საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნები. გაოგნებული ვიყავი დებატების მოსმენისას, როდესაც მხარეები ჯანმრთელობის, დასაქმების და დასახლების პროგრამებზე საერთოდ არ საუბრობდნენ.

GIP: თქვენ დანერეთ, "ოლიგარქიული არჩევნების გავრცელებული ნორმა, რომელიც განვითარებული ელიტის და პიარ მენეჯერების პროფესიონალური ცნობიერების დარღვევითაა გამოწვეული." როგორ დაუკავშირებთ ამ დახასიათებას საქართველოს საპარლამენტო არჩევნებს?

სჯ: არჩევნები ქვეყანაში მიმდინარე პრობლემებს აღწერს: ქართულ პოლიტიკურ ელიტასა და ქართველ ხალხს შორის ურთიერთკავშირი დარღვეულია; პარტიებს არ აქვთ მყარი ფესვები საქართველოში. ამაში მხოლოდ ქართულ პარტიებს ვერ დავადანაშაულებთ. ეს, ძირითადად, პოსტ-საბჭოთა, დაყოფილი საზოგადოების პროდუქტია. საქართველოში არ არსებობს საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებიც ამა თუ იმ პარტიასთან იდენტიფიცირდებიან. ქართველები პოლიტიკურად დანანევრებულები არიან, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პარტიები ხშირად ჩნდებიან და ქრებიან. ქართული პარტიები ვერ ჰქმნიან პლატფორმას, რომლითაც შეძლებენ პასუხისმგებლობა აიღონ თავიანთი ამომრჩევლის წინაშე. პარტიები საპარლამენტო სივრცეში ცხოვრობენ და არ გააჩნიათ ორგანიზებულობა, პოლიტიკური სურვილი თუ კავშირების გაღრმავების მცდელობა თავიანთი ამომრჩევლის ფარგლებს გარეთ. ერთიანი ნაციონალური

მოძრაობა, შესაძლოა, გამონაკლისად ჩაითვალოს. ეს პარტია ყველაზე მოხერხებულია მხარდამჭერების მობილიზებაში საპროტესტო აქციებისთვის, თუმცა ეს ნამდვილად არ არის ყველაზე ეფექტიანი გზა გრძელვადიანი გავლენის მოსაპოვებლად. ასევე, პარტიები აქტიურად მუშაობენ არჩევნების დროს, მაგრამ ძალიან პასიურობენ არჩევნების შემდეგ. დემოკრატია და პოლიტიკური პასუხისმგებლობა მხოლოდ არჩევნების დროს არ უნდა იყოს აქტიუალური, არამედ არჩევნებიდან არჩევნებამდეც.

GIP: თქვენ აღწერეთ ორი ძირითადი პარტია საქართველოში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება, როგორც „შეუთავსებადი პოლიტიკურ სტილსა და ხედვებში“, გამომდინარე ენმ-ის სწრაფი რეფორმების სტრატეგიასა და ქართული ოცნების უფრო მეტად ხარჯვითი სტილიდან.

სჯ: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არის პარტია, რომელიც ასოცირდება სწრაფ პოლიტიკურ ცვლილებებთან მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს. ამჟამად, პარტიაში ბევრი ცვლილებაა; ვხედავთ ახალ დაყოფებს. ახალგაზრდა სახეები განსხვავებულ ხედვებს უჭერენ მხარს, რომლებიც არ მოიცავენ სააკაშვილის ქარიზმატულ სტილს. ეს ცვლილებები მზარდი პოლიტიკური სიმნიფის მაჩვენებელია. მეორე მხრივ, იმედგაცრუებული ვარ ახლადარჩეულ პარლამენტში დანყებული დებატებით, რადგან არსებობდა შანსი, რომ ნაციონალური მოძრაობა წარმოჩენილიყო, როგორც ოპოზიციური პარტია, რომელიც კონკრეტულ და პრაქტიკულ გზებს გამოიხატავდა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. ამის ნაცვლად, კვლავ

ძველებურ პოლემიკურ ქიშპობებს ვხედავთ პარლამენტში, რაც უფრო მეტად ორიენტირებულია ლიდერის პიროვნულ თვისებებზე და არა მოსახლეობის პრობლემებზე.

ქართული ოცნება გარედან უფრო თავდაჭერილ, ზომიერ პარტიად ჩანს, თუმცა შინაარსობრივად ვეღარ ვხედავ სხვაობას ოცნებასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის. ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა ტიპის პარტიად ჩამოყალიბდება ქართული ოცნება ოქტომბრის არჩევნების შემდეგ. რა თქმა უნდა, პარტია დასავლური ორიენტაციისა. თუმცა, არ ვიცით რას ნიშნავს დასავლური ორიენტაცია საშინაო რეფორმების პროგრამებისთვის, რამაც ხალხის მდგომარეობა უნდა გააუმჯობესოს და მეტი ლეგიტიმაცია შესძინოს მთავრობას. საქართველოს პრემიერ მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის ოთხპუნქტიანი გეგმა მოიცავს სასიცოხლოდ მნიშვნელოვან პროგრამებს ინფრასტრუქტურულ და საჯარო მმართველობის სფეროებში. თუმცა, როგორც ინგლისელები ამბობენ „მტკიცებულება პუდინგშია“ (რაც ნიშნავს, რომ საბოლოო შედეგი პუდინგის გასინჯვის შემდეგ ხდება ცნობილი). ჩვენ უნდა დაველოდოთ, თუ რა ეფექტები ექნება კვირიკაშვილის პროგრამებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების საქმიანობაში. ქართული ოცნების უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს ის შესაძლო ცდუნებები, რომლებიც პარტიის პარლამენტში დომინირებითაა გამოწვეული, თან ეს ისეთ პოლიტიკურ სისტემაში, რომელშიც თავდაპირველი გამარჯვება საბოლოოდ მარცხად აღიქმება.

GIP: როგორ ფიქრობთ, შეძლებს ნაციონალური მოძრაობა ჩამოყალიბდეს

კონსტრუქციულ ოპოზიციურ პარტიად? რამდენად ხელს უწყობს ან უშლის პარტიას სააკაშვილის პოზიცია, რომელიც ჯიუტად ცდილობს დარჩეს ქართულ პოლიტიკაში?

სჯ: ნაციონალურ მოძრაობას აქვს პოტენციალი, რომ იყოს უფრო კონსტრუქციული. ვფიქრობ, რომ სწორედ ესაა პარტიის ახალგაზრდა სახეების სურვილი. მსგავს ცვლილებას ძალიან პოზიტიური გავლენა ექნება საქართველოზე, რადგან პოლემიკური დაპირისპირება პარლამენტში ინვესტს ქაოსს სატელევიზიო დებატებში და ასუსტებს საქართველოს მოსახლეობის ჩართულობას დემოკრატიულ პროცესებში. ნაციონალური მოძრაობა სწორად აღნიშნავს, რომ ივანიშვილის აჩრდილი არის ქართული წარმომადგენლობითი დემოკრატიის ხარვეზი-ეს უფრო მძიმედ გამოიხატებოდა სააკაშვილის ქარიზმატული ლიდერობის დროს- თუმცა მსგავს რიტორიკას არ ექნება დიდი ეფექტი ნაციონალური მოძრაობის მომავალზე. ქართულ პოლიტიკაში ბევრი სხვა მნიშვნელოვანი თემაა სააკაშვილისა თუ ივანიშვილის პიროვნებების გარეშე. არსებობს სერიოზული პრობლემები, ეკონომიკის, უსაფრთხოების და საჯარო პოლიტიკის თვალსაზრისით, რომლებსაც სასწრაფო ყურადღება სჭირდებათ.

GIP: როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ქართული ოცნების საკონსტიტუციო უმრავლესობა საგანგაშო ქვეყნისთვის? უნდა იყოს თუ არა თვითონ პარტია ფრთხილად, რომ არ გადაამეტოს საკუთარ ძალაუფლებას, როგორც ეს რამოდენიმე წლის წინ ნაციონალურმა მოძრაობამ გააკეთა?

სჯ: ეს ნამდვილად არის პრობლემა. ბენჯამინ დიზრაელმა თქვა, რომ ყველა

ეფექტურ მთავრობას ძლიერი ოპოზიცია ესაჭიროება. ეს ნამდვილად ჭკვიანური დაკვირვება იყო. საქართველოში, ერთ-ერთი პრობლემა არის არასაკმარისი ინსტიტუციური კონტროლი მმართველ პარტიებზე. ქართულ პოლიტიკაში არის ძლიერი ერთპარტიული მმართველობა, რომელიც მაინც იმკვიდრებს ადგილს მიუხედავად პლურალისტური გამონათებებისა. ეს ყოველთვის არ არის საგანგაშო; მსგავსი პოლიტიკური მდგომარეობა ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა, იაპონია და ა.შ.შ. ამერიკის არჩევნებმა მოიტანა პარტიული დომინირება როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო სტრუქტურებში, აგრეთვე პარტიული ნიშნით დაინიშნება უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, რომელიც სავარაუდოდ, დიდ გავლენას მოახდენს სასამართლო ინსტიტუციაზეც. საქართველოში ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია ინსტიტუციების, სამოქალაქო საზოგადოების და მედიის აქტიურობა მთავრობის მონიტორინგის მიზნით და მისი დომინირების სანინააღმდეგოდ. არ ვარ დარწმუნებული, რომ ხსენებული გამანონასწორებელი ძალები არსებობენ საქართველოში, ან თუ არსებობენ ისინი ვერ ჰპოვებენ საკმარის გავლენას. მსგავს ვითარებაში, ძალაუფლების გადამეტების ცდუნება კორუფციით, პოლიტიკური სტაგნაციით და მნიშვნელოვანი შეცდომების იგნორირებით დასრულდება. აი, სწორედ ამას მიანიშნებდა დიზრაელი. სუსტი ინსტიტუციური და პოლიტიკური ოპოზიცია საკმარის თოქს სთავაზობს დომინანტ პარტიას, რომ პოლიტიკურად ჩამოიხრჩოს თავი. არ გამიკვირდება, თუ რამოდენიმე წელიწადში ეკონომიკური ვითარება არ გამოსწორდება, და დიდი პროტესტი გაჩნდება არაპოპულარული მთავრობის წინააღმდეგ. ვნახოთ, რის გაკეთებას შეძლებს ეს

ხელისუფლება თუმცა ნურც ბევრს მოველით მისგან.

GIP: *ლიბერალურ და პრო-დასავლური პარტიები - თავისუფალი დემოკრატები და რესპუბლიკელები, რომლებმაც კოალიცია ქართული ოცნება თანმიმდევრობით 2014-ში და 2016-ში დატოვეს - ვერ შევიდნენ ახალ პარლამენტში. ისინი პატრიოტთა ალიანსმა ჩაანაცვლა. რა არის მოვლენების განვითარების მოკლევადიანი შედეგი და რა შეიძლება იყოს ფართომასშტაბიანი რეზულტატი?*

სჯ: ამ საპარლამენტო არჩევნების ერთ-ერთი შედეგი იყო ლიბერალური ცენტრის მარცხი. გაერთიანებულად რესპუბლიკელებს და თავისუფალ დემოკრატებს ჰქონდათ შანსი, გადაელახათ ხუთპროცენტიანი ბარიერი. ეს პრობლემა ამ ორმა პარტიამ თავად გაიჩინა. თუმცა, პრობლემა აქ უფრო ღრმაა ვიდრე ჩანს. საქართველო ტრადიციული საზოგადოებაა, სადაც ლიბერალურ იდეოლოგიას მწირი საფუძვლები აქვს. უცხოელები ჩამოდიან თბილისში, უყურებენ ტელევიზორს, ხვდებიან განათლებულ ახალგაზრდობას და ფიქრობენ, რომ პოლიტიკური წყობა დასავლურია. მაგრამ მხოლოდ თბილისი საქართველო არ არის. უნდა აღვნიშნო, რომ ევროპაშიც კი, ლიბერალიზმი - თუკი ამას ტოლერანტობად და სოციალური სამართლიანობის მხარდაჭერად ავლვიქვამთ - არ არის უნივერსალური და ბუნებრივი ფენომენი.

საქართველო ნათელი მაგალითია ღრმა და კომპლექსური ცვლილებებისა ღირებულებებში, ასევე საგულისხმოა აქ მიმდინარე ბრძოლა ტრადიციებსა და მოდერნიზაციას შორის. როგორც ევროპელები, ქართველებიც აანალიზებენ

და მოქმედებენ იმ საშიშროებების წინააღმდეგ, რომელსაც მათი აზრით გლობალიზაცია წარმოადგენს. საპარლამენტო არჩევნების დრამატული შედეგი იყო რესპუბლიკური პარტიისა და თავისუფალი დემოკრატების დაშლა. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი ახლა ალტერნატიულ პოლიტიკურ ფრონტს ეძებს, რომელიც ლიბერალურ ღირებულებებს, საქართველოში პოპულარულ ფასეულობებთან ერთ ხაზში მოაქცევს. სამწუხაროდ, რესპუბლიკელები ზედმეტად თავდაჯერებულები აღმოჩნდნენ. პატრიოტთა ალიანსმა ბარიერის მიჯნაზე შეძლო პარლამენტში მოხვედრა. ვფიქრობ, რომ მათი პრო-რუსული განწყობა გადამეტებულა. მათმა ამომრჩეველმა სხვა თემების გამო დაუჭირა ამ პარტიას მხარი. პატრიოტთა ალიანსმა წამოჭრა ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თემები, რომლებიც სხვა პარტიების ყურადღების მიღმა რჩებოდა. სწორედ ამიტომ მიაღწია ამ პარტიამ წარმატებას.

GIP: როგორ გავლენას მოახდენს ახალი პოლიტიკური ტენდენციები დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, როგორებიცაა დონალდ ტრამპის გამარჯვება ა.შ.შ-ში და შიდა პოლიტიკური ცვლილებები ბრიტანეთსა და საფრანგეთში?

სჯ: ევროკავშირი კვლავ არსებობს, მაგრამ შეიძლება ნაკლებად იაქტიუროს სამეზობლო პოლიტიკის თვალსაზრისით, თუკი პოპულისტური მოძრაობები გაგრძელდება. ამ შემთხვევაში, ნაკლები ფული და ნაკლები ყურადღება დაეთმობა დემოკრატიული მისწრაფებების მქონე მეზობლებს, როგორც საქართველოა. ეს

დიდი ექსპერიმენტი (ევროკავშირი) ჩაფლავდა, რადგან როგორც ქართული პარტიები, ევროპელი ტექნოკრატებიც საკუთარი მოსახლეობის სურვილებს არ პასუხობდნენ. თუმცა, საქართველოზე ეს ცვლილებები ნაკლებად იმოქმედებს. პოპულიზმს არც ევროპის პრობლემების გადაჭრა შეუძლია, ასე რომ დაახლოებით ოთხ წელიწადში, ეს ანტილიბერალები ასევე გავლენ პოლიტიკური სცენიდან. მე ნამდვილ საშიშროებას ვხედავ ევროპის მარტივ პოლიტიკაში რუსეთის მიმართ. საოცარია ის გულუბრყვილობა, რომლებსაც ევროპელი ლიდერები დღესაც იჩენენ, იმის შემდეგ რაც 25 წლის განმავლობაში მოხდა (დნესტრისპირეთი, უკრაინა, საქართველო). დონალდ ტრამპიც მსგავსი პოლიტიკის მომხრეა. მისი ახლად დანიშნული სახელმწიფო მდივანი, რექს ტაილერსონი პუტინთან ახლო ურთიერთობით გამოირჩევა. ტრამპი ფიქრობს, რომ მას პუტინთან საუბარი და შეთანხმების მიღწევა შეუძლია. ის არ აზროვნებს, როგორც დაზვერვის სამსახურის მუშაკი, რომელიც ამბობს რომ ჰაკერული თავდასხმები ამერიკულ პარტიებზე პუტინის დაკვეთა იყო. ეს არ არის სასარგებლო საქართველოსთვის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რესპუბლიკური კონგრესი, როგორც ამერიკის უშიშროების სტრუქტურები და სახელმწიფო დეპარტამენტი, უფრო რეალისტურად შეაფასებს იმ ქვეყნის ინტერესებს, რომელიც ამერიკული არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენას ცდილობს. რუსეთი ყოველთვის აკეთებდა ამას თავის მეზობლების პოლიტიკაში, მაგრამ პუტინი უფრო თავდაჯერებულია. მას შეუძლია რაც მოესურვება ის გააკეთოს, ვიდრე მას არ ჰყავს ოპოზიცია. იგი ლენინის მაგალითზე სწავლობს, რომელმაც თქვა: „როდესაც ხიშტს შეარჭობ, შეყევი რბილ ზედაპირს მანამ სანამ მყარ ზედაპირს არ მიაღწევ.“

GIP: თქვენ ბევრ კვლევას ატარებთ, საქართველოს პირველ რესპუბლიკაზე, რომელიც 1918-დან 1921 წლამდე არსებობდა. რა გაკვეთილი შეიძლება ვისწავლოთ ამ სამწლიანი ქართული გამოცდილებიდან, რომელიც დღესაც სასარგებლო შეიძლება იყოს ჩვენთვის?

სჯ: ისტორიას ყოველთვის აქვს გაკვეთილები, თუმცა ჩვენ ყოველთვის არ ვუსმენთ და არ ვაკვირდებით მას. ახლა, პირველ რესპუბლიკაზე ვმუშაობ, რომელსაც მინიმუმ ოთხი თემა აქვს, სადაც შეიძლება ძლიერი პარალელი გავავლოთ დღევანდელობასთან: საფრთხეები ჩრდილოეთიდან, საქართველოს არაადეკვატური მიდგომა უმცირესობებთან,

ეკონომიკური სისუსტე, და ევროპის ნდობა. მდგომარეობა ბევრად უკეთესია, ვიდრე 1918-დან 1921-მდე იყო, მაგრამ პირველ რესპუბლიკას ახასიათებდა ისეთი დესტაბილიზაცია, რომელიც შესაძლოა ქართველების საკუთარი შეცდომებით იყოს გამოწვეული. არსებობს, პოზიტიური პარალელებიც, რომლებიც გვიჩვენებს ქართველების უდრეკობას ბოლო 100 წლის განმავლობაში. 1918 წლიდან დღემდე, ქართველები მხარს უჭერდნენ დემოკრატიას და იბრძოდნენ კოსტიტუციური სახელმწიფოს შესაქმელად. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ეს გზა გაგრძელდება და ამ გზაზე ევროპელებსაც შეგიძლიათ ასწავლოთ თუ რა შეიძლება მოჰყვეს ანტილიბერალურ პოპულიზმს.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

